საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№4 პერიოდული გამოცემა
2014 წლის აპრილი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვა ჩემთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რადგან პერიფერიებში საკუთარი უფლებების თაობაზე მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა განსაკუთრებით თვალშისაცემია და შესაბამისად, მაღალია ადამიანის უფლებების დარღვევის, ან უფლებათა არასათანადო რეალიზაციის ალბათობა. სწორედ ამ მიზნით, აპრილში რეგიონების მდგომარეობის გაცნობა დავიწყეთ. მე და ჩემმა თანამშრომლებმა 5 მძიმე და დატვირთული დღე გავატარეთ დასავლეთ საქართველოში. ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში ასზე მეტ ადამიანს პირადად შევხვდი და მოვისმინე მათი პრობლემების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათ წინაშე არსებული გამოწვევები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია და ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ბუნებისაა. მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებმა გამოკვეთა სამწუხარო ტენდენცია იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს არასწორი ან დაგვიანებული კომუნიკაცია აქვთ მოქალაქეებთან და ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გაჭიანურება კიდევ მეტად ამძიმებს მდგომარეობას, მაშინ როცა დროულ მოქმედებას ზოგჯერ მარტივად შეუძლია საკითხის მოგვარება.

ჩვენთან მოსული ყველა ადამიანი თავისი პრობლემების გადასაჭრელად ხელისუფლების ყურადღებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების აქტიური მუშაობა და დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა.

აპრილი გადაუჭრელი საკანონმდებლო ცვლილებების თვე აღმოჩნდა. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134[4] მუხლის პირველი პუნქტზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების შრომის უფლებას ლახავს და რაც მთავარია, უზღუდავს მათ გასაჩივრების უფლე-

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს 4
4. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი 5
5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო მოსაზრებ 5
6. გასული თვის მოვლენები 6
7. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 6
8. სხვა სიახლეები 8
9. სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები 10
10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 10
11. აპრილის ღირსშესანიშნავი თარიღები 11
12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 12
13. კონტაქტი 12

ბას.1 ვფიქრობ, კანონის ეს დანაწესი უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას და ამიტომაც მივმართე საკონსტიტუციო სასამართლოს.

ქვეყანაში დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის საპარლამენტო განხილვებმა. სამწუხაროა, რომ გარკვეული ჯგუფები ცდილობდნენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და აღნიშნული კანონის შემოღებას მორალური ღირებულებების უარყოფად მიიჩნევდნენ. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კანონი თანასწორობის დამკვიდრებისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის გაცილებით მაღალ სტანდარტებს აწესებს. მისასალმებელია, რომ ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველის ოფისი მთავარი საზედამხედველო ორგანო გახდა, თუმცა სამწუხაროა, რომ პარლამენტის მიერ არ მოხდა ჩემ მიერ გამოთქმული არსებითი შენიშვნების გაზიარება, რაც დისკრიმინაციის აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას ეჭვქვეშ აყენებს.

ჩემი უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე TV3-ის ჟურნალისტების დაკავების ფაქტმა. რუსი სამხედროები თუ ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები წლებია, უკანონოდ ატყვევებენ საქართველოს მოქალაქეებს, უზღუდავენ თავისუფლებას, იტაცებენ და შემდეგ გამოსასყიდს ითხოვენ. რიგითი მოქალაქე უძლურია ადამიანის უფლებათა უხეშად დარღვევის წინაშე. ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველოს ხელისუფლებამაც და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც ყველა შესაძლო ზომებს უნდა მიმართონ ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

აპრილის თვეში არ შემიძლია არ აღვნიშნო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისკენ მიმართული ძალისხმევა პოლიტიკური ძალაუფლების ჯეროვანი გადანაწილებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა განიხილეს. სახალხო დამცველი სამუშაო ჯგუფის წევრია და შეხვედრაზე საშუალება მომეცა მესაუბრა მოწყვლადი მოსახელობის დაცვისა და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის, გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესისა და შრომის ინსპექტორის ინსტიტუტის შემუშავების თემებზე.

1 კანონპროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საინფორმაციო ბიულეტენის მეოთხე თავში - სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივები 4.1; ან იხილოთ ბმულზე http://www.ombudsman.ge/ge/page/saqartvelos-saxalxo-damcveli-sadjaro-samsaxuris-shesaxeb-kanonis-gardamaval-debulebas-arakonstituciurad-miichnevs.

2. მთავარი მოვლენა

სახალხო დამცველმა დასავლეთ საქართველოში მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, 7-11 აპრილს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდისა და ქუთაისის მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა. სახალხო დამცველთან ერთად შეხვედრებს ესწრებოდნენ: სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე, სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ნათია კაციტაძე და რეგიონული სამმართველოს უფროსი მიხეილ მინდაძე.

სახალხო დამცველი ადგილზე იგებდა მოსახლეობის მდგომარეობას, ისმენდა მათ საჩივრებს, ეცნობოდა საცხოვრებელ პირობებსა და აგროვებდა ინფორმაციას რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გამოიკვეთა კომპლექსური პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ხელისუფლებაც უნდა დაინტერესდეს.

პირველი დასახლება, რომელიც სახალხო დამცველმა აჭარაში მოინახულა, ყოფილი 33-ე ბრიგადის ტერიტორიაზე - ე.წ. მუყაოს დასახლება და ყოფილი 25-ე ბრიგადის ტერიტორია იყო. საგანგაშო აღმოჩნდა დასახლებაში მცხოვრები ბავშვების უფლებების მდგომარეობა, ვინაიდან საცხოვრებელი პირობები და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა მათ სრულფასოვან განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

შეხვედრა მუყაოს დასახლებაში

„მუყაოს დასახლება“ ხელვაჩაურში 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაჩნდა. მუყაოსგან შეკონწიწებულ ქოხებში სოციალურად დაუცველები, მათ შორის მოხუცები, ბავშვები, ავადმყოფები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვ-

რობენ. ამ დასახლებაში შესახლებული არიან ეკომიგრანტებიც. მოსახლეობა მათი საქმეების შესწავლასა და ბინებით დაკმაყოფილებას ითხოვს.

სახალხო დამცველის ბათუმის ოფისში უჩა ნანუაშვილი და მისი თანმხლები პირები 7 საათის განმავლობაში ხვდებოდნენ მოქალაქეებს. როგორც გამოიკვეთა, მოსახლეობის მთავარი პრობლემა სოციალური სიდუხჭირეა, თუმცა დღის წესრიგში სხვა მრავალი საკითხიც დგას. მაგალითად, ხულოს რაიონის 5 სოფლის: დიდაჭარის, გელაძეების, დიაკონიძეების, ღურტასა და პაქსაძეების მოსახლეობა „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ჰესის მშენებლობისთვის გვირაბის გაყვანას აპროტესტებს.

სამწუხაროდ, მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი მიმართვისა, არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას ამ მოსახლეობისთვის არ მოუსმენია, არ გაცნობია მათ მოთხოვნებსა თუ პრეტენზიებს და შესაბამისად, არც მათი აზრი გაუთვალისწინებია.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ავთანდილ ბერიძესა და დეპუტატებთან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის მხრივ არსებულ ძირითად გამოწვევებზე, სოციალური პრობლემებზე, დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხებზე ისაუბრა.

მოგვიანებით, სახალხო დამცველი ფოთის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა; მოინახულა დევნილთა დასახლება და გაესაუბრა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

სახალხო დამცველმა 9 აპრილს ზუგდიდში, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო. შემდეგ ზუგდიდის ოფისში 5 საათი ისმენდა ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრებს, გულისტკივილსა და სურვილებს; დღის ბოლოს კი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2013 წლის ანგარიში წარუდგინა. შეხვედრაზე ისაუბრეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე.

განსაკუთრებული აღმოჩნდა სოფელ ხურჩას მოსახლეობასთან შეხვედრა. 10 აპრილს, სწორედ მაშინ, როდესაც სახალხო დამცველი ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მცხოვრებ მოსახლეობას ხვდებოდა, სოფელს დაბალ სიმაღლეზე, ნელი ტემპით გადაუფრინა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავმა.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ადგილობრივები კვლავ საფრთხეში არიან, მათ ეზღუდებათ გადაადგილების თავისუფლება; გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსი მესაზღვრეები აგრძელებენ მოსახლეობის დაკავებას. რეგიონში მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა. ამ მიზნით, ერთ-ერთ ქმედით ნაბიჯად სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს გალში, ინციდენტების პრევენციისა და მონიტორინგის მექანიზმის (IPRM) აღდგენას - რაც ხელს შეუწყობს სიტუაციის განმუხტვასა და მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევას.

რუსული Ан-2 ხურჩას თავზე

უსაფრთხოების გარდა, ხურჩას მოსახლეობას სოციალური და საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემებიც აწუხებს, რომელიც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას საჭიროებს. სოფელში არ არის დაწყებითი სკოლა და ამბულატორია; მოუხერხებელი განრიგით მოძრაობს მუნიციპალიტეტის ცენტრთან დამაკავშირებელი ტრანსპორტი.

მოსახლეობა ასევე ითხოვს მდინარე ენგურის ნაპირის გამაგრებასა და ხურჩასთვის სოფლის სტატუსის მინიჭებას. * ოფიციალურად იგი სოფელი კოკის ერთ-ერთ უბნად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მანძილი 4 კილომეტრია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხურჩაში ჩასახლებული დევნილი მოსახლეობა 1993-1998 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

მოგვიანებით, სახალხო დამცველმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს მოსახლეობის საჭიროებები გააცნო, თუმცა მოსახლეობის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის მოგვარების კონკრეტული პასუხი ომბუდსმენს არ მიუღია.

ქუთაისში, მოქალაქეებთან 6 საათიანი შეხვედრის შემდეგ სახალხო დამცველმა იძულებით გადაადგილებული, უსახლკარო და სოციალურად დაუცველი ოჯახებიც მოინახულა. მოგვიანებით კი, მოსახლეობის პრობლემები ქუთაისის საკრებულოს ხელმძღვანელებთან განიხილა და გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებზე იმსჯელა.

სახალხო დამცველის აპარატს 7 რეგიონული ოფისი აქვს, რაც სახალხო დამცველს საშუალებას აძლევს

მუდმივად იყოს ინფორმირებული რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. თუმცა, პირადი შეხვედრები სახალხო დამცველს ეხმარება ყოველმხრივ და ზედმიწევნით შეისწავლოს საკითხი, ხოლო რეგიონის მოსახლეობას სახალხო დამცველთან უშუალო ურთიერთობა დაცულობის შეგრძნებას მატებს.

3. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს

3.1. წინადადებები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

თ.ლ წლების განმავლობაში იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და პარტნიორის მხრიდან პერიოდულად განიცდიდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას. ძალადობის ერთ-ერთი ფაქტის დროს, იგი ტვინის შერყევის დიაგნოზით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. ექიმის ჩანაწერით დადასტურდა, რომ პაციენტი ნაცემი იყო მეორე პირის მიერ, რომელსაც თ.ლ ძალადობის განმეორების შიშით ვერ ამხელდა. აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად, სამედიცინო დაწესებულებამ შესაძლო ძალადობის შემთხვევაზე სამართალდამცავ უწყებებს არ შეატყობინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თ.ლ-ს მინიჭებული აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, თუმცა შს სამინისტროს მოკვლევის შედეგებით ძალადობა არ დასტურდება. ასევე შემაშფოთებელია დაუზუსტებელი ინფორმაციის საფუძველზე საქმის გარემოებების შეფასება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, დამადასტურებელი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, წერილობით იტყობინება, რომ დაზარალებულს აქვს ფსიქიკური აშლილობა.

15 აპრილს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს, შეისწავლოს სამედიცინო დაწესებულების მოსამსახურის მიერ დანაშაულის შეუტყობინებლობის კონკრეტული ფაქტი, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ვერ იქნება წარმატებული, თუ სამედიცინო დაწესებულებები არ შეასრულებენ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

სახალხო დამცველმა ასევე წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს, შეისწავლოს მოქალაქე თ.ლ-ის მიმართ განხორციელებულ ოჯახში ძალადობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ფაქტები.

3.2. წინადადებები მთავარ პროკურორს №8 დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

17 აპრილს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების წინადადებებით მიმართა.

№8 სასჯელაღსრულების დაწესებულების რამდენიმე მსჯავრდებულმა სახალხო დამცველს განუცხადა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ვიზუალური დათვალიერებისას აშკარად ჩანდა პატიმართა ფიზიკური დაზიანებები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულთა სხეულებზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად, აუცილებელია, დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

3.3. წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროს

30 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უფროსს შეისწავლოს მოქალაქე გ.ა-ს მიმართ ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტი, ამასთანავე, კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ქმედითი, ეფექტური და დროული ღონისძიებები, რათა განმცხადებელმა ძალადობრივი ქმედებებისგან დაცულ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება შესძლოს.

ხანდაზმული გ.ა განიცდის ძალადობას მისი შვილის და რძლის მხრიდან და არ აქვს შესაძლებლობა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად დაიკავოს ერთი ოთახი საცხოვრებელში სადაც მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ. ამჟამად გ.ა ნათესავის ბინაში ცხოვრობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკვლევის შედეგების მიხედვით სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება და არ დაწყებულა გამოძიება.

4. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი

4.1. სახალხო დამცველი საჯარო სამსახურის შესახებ კანონის გარდამავალ დებულებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს

3 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134[4] მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სადავო აქტის მიხედვით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე.

სადავო აქტის მიხედვით, სამსახურში განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელეები, რომელთაც ქონდათ მათი დასაქმების განუსაზღვრელ ვადასთან დაკავშირებით ლეგიტიმური მოლოდინი, ახსნა-განმარტების და რაც მთავარია, გასაჩივრების საშუალების გარეშე, გათავისუფლდებიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილნი იქნებიან ამავე თანამდებობზე მოვალეობის შემსრულებლებად მანამ, სანამ იქ კონკურსის წესით არ დაინიშნებიან მოხელეები.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც დანაწესი კრძალავს მოხელეთა სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებას. სადავო აქტი ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

სახალხო დამცველმა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო მოსაზრება

5.1. მოსაზრება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

7 აპრილს საქართველოს მთავრობამ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კან-პროექტისა და მასთან დაკავშირებული კანონის პროექტების ინიცირება მოახდინა. შემოთავაზებული პროექტით, დისკრიმინაციის აკრძალვაზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

11 აპრილი. საქართველოს სახალხო დამცველმა სრული მზადყოფნა გამოთქვა, შეასრულოს დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის ფუნქცია. საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობა სახალხო დამცველის კომპეტენცია და ვალდებულებაა, კანონპროექტი კი ამ კომპეტენციას უფრო ეფექტურს გახდის.

კანონის პროექტზე სახალხო დამცველის შენიშვნების ნაწილი ასახულ იქნა კანონის პროექტში. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომლებზეც სახალხო დამცველმა დამატებით გაამახვილა ყურადღება:

- კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული პროექტი ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სადაც გაიწერებოდა სახალხო დამცველის სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურა;
- კანონპროექტის შემოთავაზებული ვერსიით საქართველოს სახალხო დამცველს ეძლევა კომპეტენცია სასამართლოს მიმართოს მხოლოდ „ადმინისტრაციული ორგანოს“ მიერ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედებების გამო. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მისი კომპეტენცია უნდა გავრცელდეს კერძო პირთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დარღვევებზეც, რათა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტური გახდეს;
- კერძო პირების მიმართ საქართველოს სახალხო დამცველს არ აქვს საქმის განხილვისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოთხოვის შესაძლებლობა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს;
- კანონპროექტში შემოთავაზებულია დისკრიმინაციის ცნება და შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტი, რომელიც არ არის შესაბამისობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ მიდგომებთან;

- დაზუსტებას საჭიროებს ის მუხლი, რომელიც ეხება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმისწარმოების შეწყვეტას;
- მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის მსხვერპლის ბაჟისგან გათავისუფლების საკითხიც, როდესაც იგი მიმართავს სასამართლოს დისკრიმინაციის ან/და დამრღვევის პასუხისმგებლობის დასადგენად;
- კანონპროექტი ასევე არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის აპარატისთვის დამატებითი ფინანსური ასიგნებების გამოყოფას. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი კომპეტენციის ფარგლებში საჭიროებს დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებას.

17 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა თავისი შენიშვნები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გადაუგზავნა.

6. გასული თვის მოვლენები

6.1. შეხვედრა პატიმრობაში მყოფ ემზარ კვიციანთან

4 აპრილს სახალხო დამცველი გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ემზარ კვიციანს შეხვდა და მის საქმეში არსებული დეტალებზე ესაუბრა. უჩა ნანუაშვილის განმარტებით, კვიციანის საქმესთან დაკავშირებით არსებულ კითხვებს დაზუსტება სჭირდება.

6.2. სახლო დამცველის აპარატი თათუხაშვილის გარდაცვალების საქმე სწავლობს

4 აპრილს სახალხო დამცველი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარესთან კახა კოჟორიძესთან ერთად თათუხაშვილების ოჯახს ეწვია და საქმის დეტალებს გაეცნო. ომბუდსმენი ე.წ. ნავთლუღის საქმის მთავარი მოწმის შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით უკვე ესაუბრა მთავარ პროკურორს და ადვოკატს. სახალხო დამცველის აპარატი საქმის შესწავლას განაგრძობს.

6.3. სახალხო დამცველმა ჟვანიას საქმეზე დაკავებული პირები მოინახულა

5 აპრილს უჩა ნანუაშვილი გლდანის №8 დაწესებულებაში განთავსებულ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ლევან ჩაჩუას და ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრებს მიხეილ ძაძამიას და კობა ხარშილაძეს შეხვდა.

სახალხო დამცველი საქმეში არსებული გარემოებების შესწავლის მიზნით, ინტენსიურად ითანამშრომლებს დაკავებულების ადვოკატებთან და საქმის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას პერმანენტულად მიაწვდის.

6.4. დაკავებული ჟურნალისტების დაუყოვნებლივ გათავისუფლებისათვის ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული

15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა სოფელ აძვში **TV3**-ის ჟურნალისტ ბელა ზაქაიძის, ოპერატორ ბახო ლეკიაშვილისა და ტექნიკური თანამშრომლის მიხეილ მიხოევის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით.

სამწუხაროა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამოქალაქო პირთა დაკავების ფაქტები რუსი სამხედროებისა თუ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებებისა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის მანკიერი პრაქტიკა, ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა თუ რუსი სამხედროების მხრიდან, ინტენსიურად გრძელდება. ჟურნალისტთა თავისუფლების უკანონო აღკვეთაზე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.

სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიმართონ ყველა შესაძლო ზომებს დაკავებული ჟურნალისტების უსაფრთხოდ და დაუყოვნებლივ გათავისუფლებისათვის.

6.5. შეხვედრა ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით

22 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა სამოქალაქო საზოგადოების რიგ წარმომადგენლებთან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პროექტი განიხილა. შეხვედრის მონაწილეებმა კანონპროექტთან დაკავშირებით საერთო პოზიციები გამოხტეს და ერთობლივი ძალისხმევით, არსებული კანონპროექტის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მომზადებულ კანონ-პროექტით ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის მოსაზრებები, კვლავ რჩება რამდენიმე პრინციპული საკითხი, რო-

მელთა კანონში ასახვა არსებითი მნიშვნელობისაა.

შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დამრღვევი პირის სასამართლოს გზით დაჯარიმების აუცილებლობაზე, ასევე, სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის ფაქტების გამოკვლევის პროცედურების დახვეწისა და მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადანაწილების, დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის მიზნით არსებული სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების დახვეწის საკითხებს.

შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების იმ ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც 15 აპრილის განცხადებით ხელისუფლებას დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ეფექტური მექანიზმების ამოქმედებისკენ მოუწოდეს. სახალხო დამცველმა კანონის არსებულ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნა პარლამენტში 17 აპრილს წარადგინა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მიმდინარე საპარლამენტო განხილვებში.

6.6. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიათა და ეთნიკური საბჭოების წარმომადგენლებთან

25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერის საკითხებში, თამარ ჩუგოშვილი.

შეხვედრა რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან

სახალხო დამცველმა ისაუბრა იმ საკითხებზე, რაც მისი შეხედულებით, კანონში აუცილებლად უნდა იყოს ასახული. შეხვედრის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს კანონპროექტში საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებით სპეციალური პუნქტის ჩამატების გამო, რომლის მიხედვით კანონპროექტის არც ერთი მუხლი არ უნდა განიმარტოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის 2002 წელს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საპირისპიროდ. დამსწრეთა აზრით, ამ ჩანაწერს კანონში არსებითი ცვლილება არ შეაქვს, თუმცა, შესაძლოა გახდეს დისკრიმინაციული ინტერპრეტაციების და უმრავლესობის პრივილეგირების კიდევ ერთი წყარო.

შეხვედრა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)**, საქართველოს გაეროს ასოციაციის **(UNAG)**, და პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ **(ANI)** მხარდაჭერით გაიმართა.

6.7. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია

25 აპრილს სახალხო დამცველმა მონაწილეობა მიიღო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართულ დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. შეხვედრის მიზანს სამუშაო ჯგუფის მიერ 2013 წლის აპრილში დასახული მიზნების მიღწევის პროგრესის მიმოხილვა წარმოადგენდა.

სახალხო დამცველმა ისაუბრა მოწყვლადი მოსახელობის დაცვისა და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის, გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესისა და შრომის ინსპექტორის ინსტიტუტის შემუშავების თემებზე.

სამუშაო ჯგუფი შეხვედრებს პერიოდულად გამართავს.

6.8. საჯარო დებატები შრომის უსაფრთხოებაზე

25 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახალხო დამცველმა რიგით მესამე საჯარო დებატები გამართა თემაზე - „ვის ეკისრება პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოებაზე?“

დებატებს ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა ია თიკანაძე უძღვებოდა. მოხსენებები წარმოადგინეს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველმა კახა საგანელიძემ, შრომის, ჯან-

მრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ დავით ივანიძემ, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა მიხეილ კორძახიამ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა, ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელმა ლინა ღვინიანიძემ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა მთავრობის ადმინისტრაციის მრჩეველი სოციალურ საკითხებში ბექა ნაცვლიშვილი.

გამოიკვეთა მთავარი პრობლემა - სამთავრობო უწყებების არაერთგვაროვანი მიდგომა და ერთიანი პოზიციის არარსებობა. დისკუსიის მიზანი სწორედ, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა იყო.

სახალხო დამცველმა დისკუსიის გახსნისას ყურადღება გაამახვილა ფატალური შემთხვევების მკვეთრ ზრდაზე, რომელმაც, მისი თქმით, უკვე მასობრივი ტენდენციის სახე მიიღო, აღნიშნა, რომ ქვეყანაში არ არსებობს რეგულაცია, რომელიც შრომის უსაფრთხოების პირობების მონიტორინგს მოახდენს.

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა პროცესებში სახალხო დამცველის ჩართულობისა და ფორმატის გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

6.9. დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანგარიშის პრეზენტაცია

30 აპრილს სახალხო დამცველმა „იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის“ ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ანგარიში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში მომზადდა.

საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს 2013 წელი და მასში განხილულია საქართველოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემური საკითხები, მათ შორის დევნილთა განსახლება, პრივატიზაციისა და ყოფილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესი.

ანგარიშში ასევე საუბარი იმ პოზიტიურ სიახლეებზე, რომლებიც განხორციელდა 2013 წელს, მაგალითად ახალი კანონი დევნილთა შესახებ და დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია.

ანგარიშის პრეზენტაცია

პრეზენტაციას არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ესწრებოდნენ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოში ევროპის ოფისის ხელმძღვანელი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში.

7. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

7.1. სახალხო დამცველმა სამტრედიის ხანდაზმულთა პანსიონატი მოინახულა

11 აპრილს სახალხო დამცველმა სამტრედიის სათნოების სახლი დაათვალიერა, რომელშიც ამ ეტაპზე 19 ბენეფიციარი იმყოფება. სახალხო დამცველის შეფასებით, მოხუცებულთა თავშესაფარი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება, ხოლო ყოველწლიური დაფინანსება, რომელიც ორგანიზაციისთვის თვითმართველობას აქვს გამოყოფილი - მწირია. შენობა სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს, ბენეფიციარების მოსავლელად კი საჭიროა კვალიფიციური კადრები. პრობლემებია სამედიცინო თვალსაზრისითაც, ადმინისტრაციის ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ბენეფიციართა საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს.

8. სხვა სიახლეები

8.1. საერთაშორისო ტრენინგი: ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

21 მარტიდან 12 აპრილამდე სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, საერთაშორისო ტრენინგზე „ქალები, მშ-

ვიდობა და უსაფრთხოება.“ სასწავლო კურსის ფარგლებში თეორიულ სწავლებასთან ერთად მოეწყო სასწავლო ვიზიტები პოლიციის, დისკრიმინაციის ომბუდსმენის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პროგრამა ორგანიზებული იყო შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ და მიზნად ისახავდა ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებას მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

8.2. ძალადობის შემთხვევები სკოლაში

1 აპრილს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა მაია გედევანიშვილმა მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში თემაზე: „ძალადობის შემთხვევების მიმოხილვა სკოლაში.“

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითა და აღნიშნა, რომ 2013 წელს, საჯარო სკოლებში მოსწავლეზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვიანობის რიცხვმა, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იმატა. საჩივრების უმრავლესობა სკოლაში ბავშვთან მომუშავე პროფესიონალთა მხრიდან განხორციელებულ ძალადობას ეხებოდა. გარდა ამისა, ქვეყნის რეგიონების საჯარო სკოლებში დაფიქსირებული ფაქტები უმეტესად ეხებოდა ბავშვს მიმართ ფიზიკურ ძალადობას, ხოლო დიდი ქალაქებიდან შემოსული საჩივრები, ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობას.

* ძალადობის დაძლევის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილებულია საჯარო სკოლებში ძალადობის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, აგრეთვე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სასწავლო პროგრამებში ძალადობისგან ბავშვთა დაცვის საკითხების გათვალისწინების საჭიროებებზე.

8.3. ტრენინგი „ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგის“ თაობაზე

7-11 აპრილს, ბათუმში სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრისა და რეგიონული წარმომადგენლებისთვის „ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგის“ თემაზე ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგს უძღვებოდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები: პროფესორი მიკოლა გნატოვსკი და დოქტორი კლივ მეიუქსი. სწავლება მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ღონისძიება ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროგრამა „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

8.4. შეხვედრები საჩხერესა და ჭიათურაში

14-15 აპრილს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის წარმომადგენლები შშმ ქალთა და შშმ ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ხარვეზების გამოვლენის მიზნით საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდნენ.

საჩხერის რაიონული საავადმყოფოს საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, ამ პირთა კანონიერმა წარმომადგენლებმა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების სოციალურმა მუშაკმა, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებმა.

შეხვედრა საჩხერეში

იმავე დღეს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ყრუთა კავშირის მიერ დაარსებული საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრი მოინახულეს.

ჭიათურაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ნათია ფირაშვილი და პროექტის იურისტი ირინა ობოლაძე სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების უფროსს და სოციალურ მუშაკს შეხვდნენ.

ჭიათურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფოკუს-ჯგუფთან.

რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსიები შშმ პირების უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. შეხვედრები გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

8.5. კვლევის პრეზენტაცია ქუთაისში

16 აპრილს სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის იურისტმა ირინა ობოლაძემ ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მცირემასშტაბიანი კვლევის - „დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების (გოგონების) უფლებების განხორციელება“ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული წარმომადგენლობის მოხელეთათვის იყო გამიზნული.

შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ დევნილი შშმ ქალების უფლებების დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებს და გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

8.6. სახალხო დამცველი სტუდენტებს შეხვდა

30 აპრილს სახალხო დამცველი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა, წარუდგინა 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ წლიური ანგარიში და უპასუხა მათ შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრაზე სახალხო დამცველსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.

9. სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები

9.1. 5-6 მაისის გასვლითი ვიზიტები ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში

ვიზიტების მიზანია შშმ ქალთა, შშმ ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა და ხარვეზების გამოვლენა, აღნიშნულ პირთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.

9.2. სახალხო დამცველის ანგარიშის ნაწილის პრეზენტაცია

7 მაისს დაგეგმილია საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის ნაწილის „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“ პრეზენტაცია დაინტერესებულ პირებთან.

9.3. კონფერენცია ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე

27 მაისს გაიმართება კონფერენცია ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით.

10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

10.1. გაეროს ექსპერტები ქვეყნებს შრომითი მიგრანტების უფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირებისაკენ მოუწოდებენ

7 აპრილს შრომითი მიგრანტების უფლებებისა და სტატუსის შესახებ გაეროს ექსპერტებმა, სახელმწიფოების მიმართ განაახლეს მოწოდებები კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირებისაკენ, რომელიც 10 წელზე მეტია რაც არსებობს. საერთაშორისო კონვენცია შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრების უფლებათა დაცვის შესახებ რატიფიცირებულია მხოლოდ 47 სახელმწიფოს მიერ. შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარემ, ფრანცისკო მენამ, განაცხადა, რომ ქვეყანების რაოდენობა, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ კონვენცია არის ძალიან დაბალი, თუ გათვალისწინებთ შრომითი მიგრანტების მიმართ განხორციელებულ ძალადობის სხვადასხვა ფორმას, ექსპლუატაციას და შრომითი მიგრანტების მიერ დადებით წვლილს შეტანის შესაძლებლობას მათი წარმოშობისა და საქმიანობის ქვეყნების განვითარებაში. კონვენციის რატიფიკაციის ცხრილში არ ფიგურირებს ძირითადი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის, აშშ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და სპარსეთის ყურის ქვეყნები, 2 განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ამ ქვეყნების სტატუსს, როგორც შრომითი მიგრანტების ძირითადი მიმართულების ადგილს.

2 დღეის მდგომარეობით, საქართველოს არ მოუხდენია შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრების უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება.

ბევრი ადამიანის უფლებათა ექსპერტისათვის საერთაშორისო შრომითი მიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა წარმოადგენს ღრმა შეშფოთების საგანს, ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა აშშ და ევროკავშირის სახელმწიფოები, სადაც ზოგადად არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის შედარებით კარგი მაჩვენებელი. 2013 წლის მაისში გაეროს ექსპერტებმა მოუწოდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომ გადახედონ შრომითი მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკის ნაწილს, მათ შორის, ლეგიტიმური დასაქმების გზების პოვნის შესაძლებლობის შემზღუდავ პოლიტიკას. 2010 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ შეემუშავებინათ საერთაშორისო შრომითი მიგრანტების მიმართ „უფლებებზე დაფუძნებული“ მიდგომა. ამასთან, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოები უნდა ეცადონ, რომ უზრუნველყონ „თავისუფლების, ღირსების, თანასწორობისა და უსაფრთხოების პირობები.“

11.აპრილის ღირსშესანიშნავი

11.1. ასურელებმა ახალ წელი იზეიმეს

1 აპრილს, გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს, ჩვენმა ასურელმა თანამოქალაქეებმა ახალი 6764 წელი აღნიშნეს.

ასურელებმა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა, მას შემდეგ დავიწყებას მიეცა ყველა წარმართული ტრადიცია და ახალი წელი ერთ-ერთია იმ უძველესი დღესასწაულთაგან, რომელსაც მთელი მსოფლიოს ასურელები ერთად აღნიშნავენ.

სახალხო დამცველმა გულითადად მიულოცა მათ ეს დღესასწაული!

11.2. განცხადება აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა. ეს დღე საქართველოში წელს მეოთხედ აღინიშნა და მისი მიზანია გაიზარდოს აუტიზმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა, ასევე ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო ორგანოებს შეასრულონ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულება, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზება.

საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთს აუტიზმი აქვს. აუტიზმზე ეჭვის მიტანა დღეს 18 თვიდან შეიძლება. დროული დიაგნოსტიკა და სწორი თერაპია კი, მაქსიმალურად ზრდის ბავშვის სწორად განვითარების, განათლების მიღებისა და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დანერგოს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა ადრეული სავალდებულო სკრინინგი და დიაგნოსტიკა, განავითაროს ადრეული ინტერვენციისა და ბავშვთა განვითარების სარეაბილიტაციო სახელმწიფო პროგრამები, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირთა ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება, მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობისათვის.

11.3. 8 აპრილი ბოშების საერთაშორისო დღეა

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ ბოშებს ეს დღე მიულოცა და მათ საქართველოს ყველა მოქალაქის გვერდით წარმატებული, მშვიდობიანი, ლაღი და თანასწორუფლებიანი ცხოვრება უსურვა.

11.4. ებრაელები ფესახის დღესასწაულს აღნიშნავენ

14 აპრილს, ებრაელთა უდიდესი დღესასწაული, ფესახი დაიწყო. სახალხო დამცველმა ქართველ ებრაელებს ეს დიდი დღესასწაული მიულოცა და სიკეთე და მშვიდობა უსურვა მათ.

11.5. აღდგომის დღესასწაული

ქრისტიანთა ყველაზე დიდი დღესასწაული - ქრისტეს აღდგომა 2014 წელს მართლმადიდებლებისათვის 20 აპრილს დაემთხვა. სახალხო დამცველი გულითადად შეუერთდა ქრისტეს აღდგომის საერთო ქრისტიანულ სიხარულს და თითოეულს სიხარულისა და ბედნიერებისკენ დაუსრულებელი სწრაფვა უსურვა.

12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

12.1. საკადრო ცვლილებები

22 აპრილს გამოცხადდა ვაკანსია მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე - ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

29 აპრილს სახალხო დამცველის აპარატში ჩატარდა გასაუბრება, რის შედეგადაც შეირჩა სპეციალისტი თელავის ოფისისათვის. თეიმურაზ ორკოდაშვილი მუშაობას 1 მაისს, ოფისის გახსნის დღიდან დაიწყებს.

30 აპრილს ჩატარდა გასაუბრება და შეირჩა მართლმსაჯულების დეპარტამენტში სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების სპეციალისტი.

12.2. სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მომართვიანობის სტატისტიკა

აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 618 განცხადება, რომელიც დასაშვებობის გავლის შემდგომ დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 166
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 163
- რეგიონალური სამმართველო — 120
- ბავშვთა ცენტრი — 11
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 15
- შშმ პირთა ცენტრი — 20
- ანალიტიკური დეპარტამენტი —1



13. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე